პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 აპრილი, კვირა, 1987 წ.
№ 77 (1948) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გუშინ, ლენინური შაბათობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა







**კომუნისტური** შრომის ზეიმმა საყოველთაო ენთუზიაზმი გამოიწვია. მათ შორის, ვინც მაღალნაყოფიერად, სამაგალითოდ იშრომა ლენინურ შაბათობაზე, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა წარმომადგენლებიც იყვნენ. გუშინ დილიდანვე გამოცოცხლება იგრძნობოდა სპორტულ ბაზებზე. თავიანთი სამეცადინო ადგილების დასასუფთავებლად და კეთილმოსაწყობად მოვიდნენ ფიზკულტურელები და სპორტსმენები, იქ, სადაც ახალმშენებლობა ან კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს, ახალგაზრდები მხარში ამოუდგნენ მუშებს. ასე იყო „ლოკომოტივის" სტადიონზე და ამავე საზოგადოების საცურაო აუზზე. თბილისის იპოდრომზე საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თანამშრომლები შეიკრიბნენ. მზრუნველმა ხელმა სულ სხვა ელფერი შესძინა იქაურობას.

ჩვენმა კორესპონდენტებმა ბათუმიდან, სოხუმიდან, ქუთაისიდან და ფოთიდან ტელეფონით გვაცნობეს, რომ ლენინური შაბათობა ყველგან შრომისა და სპორტის ზეიმად იქცა. საცხოვრებელ ადგილებში კეთილმოეწყო მარტივი სპორტული მოედნები, შემდეგ კი მოედნებზე სპორტული შეჯიბრებები გაიმართა.

**სურათებზე:** შაბათობა თბილისის ველოტრეკზე; ფალავანთა კლუბისა და სპორტსახკომის ტერიტორიაზე.



საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების ნაწილია. მუზეუმის ყოველი ექსპონატი ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ ბევრი მათგანი ადგილის არქონის გამო ჩაკეტილია და ყველა მნახველისთვის ხელმისაწვდომი არაა.

იხ. მე-2 გვ.



ელვა-ინფორმაცია

## სსრ კავშირის თასი ხარლამ სიმონიას

სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან — ჩვენმა მხედარმა ხარლამ სიმონიამ სსრ კავშირის თასი მოიპოვა დაბრკოლებათა გადალახვაში. გუდაუთელმა სპორტსმენმა დამაჯერებლად გაიმარჯვა უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობისას. იგი ცხენ ხერსონით გამოდიოდა და საგრძნობლად ჩამოიტოვა მეორე და მესამე ადგილზე გასული ამირ ახმეტშინი (უზბეკეთი) და ვლადიმირ გლატოვი (მოსკოვი).

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

გუშინ კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის დარბაზში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: „უნივერსიტეტი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 77:78, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ქუთაისი 84:78, „სინათლე" (თბილისი) — „ბათუმი" 106:88.

## ჩემპიონატის სტარტზე

**ჰოკეისტთა** მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო მატჩში, რომელიც ვენაში გაიმართა, სსრ კავშირის ნაკრებმა შვეიცარიის გუნდი დაამარცხა — 13:5 (6:1, 3:2, 4:2). შაიბები ამ მატჩში ჩვენი გუნდიდან გაიტანეს: კამენსკიმ (3), კრუტოვმა (3), ხომუტოვმა (2), ბიკოვმა, სემაკმა, სტაროკოვმა, მაკაროვმა და გუსაროვმა. თანაც კამენსკი ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ იქნა აღიარებული.

მეორე შეხვედრაში შვეციის ნაკრებმა გფრ-ის გუნდი დაამარცხა — 3:0 (2:0, 1:0, 0:0).

## კვირიდან კვირამდე

**ამიერიდან ამ რუბრიკით ჩვენი გაზეთის ყოველ საკვირაო ნომერში შემოგთავაზებთ საკავშირო პრესის ფურცლებზე კვირის განმავლობაში დაბეჭდილი იმ სტატიების მოკლე ანოტაციებს, რომლებიც სპორტის მოყვარულთა ყურადღებას მიიქცევს.**

**„იზვესტია" — 12 აპრილი.** „ცსკა გაწყობილია სერიოზულად". ინტერვიუ გუნდის მწვრთნელ იური მოროზოვთან. **14 აპრილი.** „უშეჯიბრებოდ მოწყენილი ვართ". რატომ არ აწყობენ ფიზკულტურელებისათვის მასობრივ სტარტებს? ამაზე გვესაუბრება პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი ი. შჩერბაკოვი.

**„სოვეტსკი სპორტი" — 15 აპრილი.** „ორ ცეცხლს შუა" (თავი წიგნიდან). „ცნობილი მეკარის შუმახერის კარიერა, ეტყობა, დასასრულს მიუახლოვდა. მას არ აპატიებენ იმ მხილებებს, რასაც მისი ავტობიოგრაფიული წიგნი შეიცავს"... **18 აპრილი.** „მსაჯი შეცდა. ფეხბურთელი?" როგორ უნდა მოიქცეს ფეხბურთელი, რომელიც ხედავს, რომ მსაჯი შეცდა? თავიანთ აზრს გვიზიარებენ ფეხბურთელები და სპეციალისტები. **18 აპრილი.** „ჩემი იმედი მაყურებელია". ინტერვიუ სსრ კავშირის სახალხო არტისტ ნანი ბრეგვაძესთან.

**„კომსომოლსკაია პრავდა" — 16 აპრილი.** „ვებრძოლოთ პასიურობას". გაზეთის პირდაპირ სატელეფონო ხაზზეა ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძე.



18 აპრილს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და შვეციის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა (მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვერდზე).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



## ნატო ლეშკაშელი და არმიელი გოგონები

დამთავრდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში სპორტსაზოგადოებებს შორის (მრავალჭიდი).

დაძაბულ გუნდურ ბრძოლაში კვლავ გაიმარჯვეს არმიის სპორტული კლუბის ტანმოვარჯიშეებმა (ლიდია იაცენკო, მარინა სერგოვანცევა, ელისო ბედოშვილი, ბელა ქილიაევა, ვერა ყიფიანი, რუსუდან დათიშიძე). მათ 264,9 ქულა მოაგროვეს. მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკის" გუნდი (263,5), მესამეზე — „დინამოს" კოლექტივი — 258,9.

პირად ჩათვლაში ყველას სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატმა, ბურევესტნიკელმა ნატო ლეშკაშელმა აჯობა — 114,2. გამარჯვებულს მხოლოდ ორი მეათედი ქულით ჩამორჩა ელისო ბედოშვილი. მესამე ადგილზე გავიდა ინგა ჩხაიძე (ასკ) — 112,75.

● ● ●

**სურათებზე:** არმიელი ტანმოვარჯიშეები; ნატო ლეშკაშელი (ზევით).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## 19 აპრილი საბჭოური მეცნიერების დღეა

# სპორტი ყველას მეგობარი უნდა იყოს

**გუშინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, პროფესორს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს თენგიზ ონიანს.**

სპორტს ვთვლი ადამიანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროდ. სპორტი ემსახურება არა მარტო ადამიანის ფიზიკურ სრულყოფას, არამედ სულიერად ზრდის მას, რითაც ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურ და ჰარმონიულ განვითარებას. საჭიროა სპორტის შეთავსება გონებრივ მუშაობასთან. ის, ვისაც თავის ძირითად საქმიანობად მეცნიერული მუშაობა გაუხდია, აქტიურად უნდა მისდევდეს სპორტს. რამდენი ისეთი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ვიცით, ვინც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისდევდა სპორტს და ამით ინარჩუნებდა ფიზიკურ ძალებს, სრულყოფდა ინტელექტუალურ უნარს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭო, რომლის თავმჯდომარე მე გახლავართ 1972 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში საბჭოს ინიციატივით ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპორტული კოლექტივები — ჩოგბურთელთა, ფრენბურთელთა, მძლეოსანთა გუნდები მონაწილეობდნენ საკავშირო აკადემიადებში. ჩემპიონებიც ყოფილან, მაგალითად ჩოგბურთელები. გარდა ამისა, საბჭო რეგულარულად ატარებს შიდასააკადემიო სპარტაკიადებს, რომლებშიც ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებთან ერთად ხალისით მონაწილეობენ შუა ხნის და ხანდაზმული მეცნიერებიც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპორტულ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ალპინიზმს. ყოველწლიურად ეწყობოდა ალპინიადები კავკასიონის მთაგრეხილზე. ეს ტრადიცია, რომელიც ერთხანს მივიწყებული იყო, აკადემიის პრეზიდიუმის აპარატის თანამშრომლის, სპორტის ოსტატ გიორგი ბერძენიშვილის ენერგიული მეცადინეობის შედეგად აღდგა.

პირადად ჩემს ცხოვრებაში სპორტს დიდ ადგილს ვუთმობ. საშუალო სკოლა საქართველოს მთიან რაიონში დავამთავრე, სადაც ბავშვებს განსაკუთრებით უყვარდათ ჭიდაობა და სიგრძეზე ხტომა. აქვე ვიტყვი, რომ, როგორც ჩანს, სპორტის ეს სახეობები საჭიროა მთების მკვიდრთათვის. მახსოვს, ჩემს თანასკოლელებს თამამად ვუდექი გვერდში სპორტის ორივე სახეობაში. შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ფიზკულტურის ინსტიტუტში ვსწავლობდი. პირველ კურსზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში გვავარჯიშებდნენ. მძლეოსნობაში და ჭიდაობაში პერსპექტიულ სპორტსმენად მივაჩნდით. მიუხედავად ამისა, ჩემი ცხოვრება სხვა გზით წარიმართა, სასწავლებლად უნივერსიტეტში გადასვლის შემდეგ მეცნიერებამ გამიტაცა, თუმცა სპორტს დღესაც მივდევ, მომწონს ტურიზმი. ჩემი აზრით, ტურიზმი, ალპიური ტურიზმის ჩათვლით, ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით უნდა სარგებლობდეს, განსაკუთრებით ინტელექტუალური დარგის მუშაკთა შორის. ზაფხულის თვეებში ჩემს კოლეგებთან ერთად ხშირად ვმოგზაურობ საქართველოს მთიან რაიონებში და ვხვდები ბევრ ტურისტულ ჯგუფს, რომელთა უმრავლესობა ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრადაა ჩამოსული. ქართველები იშვიათად მხვდებიან. ეს, რა თქმა უნდა, დასანანია. მოგზაურობა, გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობის გაკაჟებაში დაგვეხმარება, საშუალებას მოგვცემს უკეთ გავეცნოთ ჩვენს ქვეყანას, მის კუთხეებს, კულტურისა და ისტორიის ძეგლებს, რაც სიძველეებზე ზრუნვის სურვილსაც გაგვიჩენს.

დიახ, სპორტი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის განმტკიცების საშუალებაა. მე მინდა ყველას მოვუწოდო, მიმართონ ამ საშუალებას, სპორტსმენებს კი დიდი მიღწევები ვუსურვო ჩვენი რესპუბლიკის სპორტის სადიდებლად.

# ვლადიმერ გოგოლაძე ლიდერს ოდნავ ჩამორჩება

ჩელიაბინსკი. ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ამ ქალაქში ტარდება, ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოდის. ასეთი რამ საკავშირო ჩემპიონატების პრაქტიკაში იშვიათად ხდება, ამიტომ ტურნირისადმი ინტერესი ერთი-ორადაა გაზრდილი.

გუნდური შეჯიბრება, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიგო — 567,95 ქულა. ეს კოლექტივი მართლაც უძლიერესი ტანმოვარჯიშეებით არის დაკომპლექტებული. გუნდის ღირსებას ამჯერად იცავდნენ მსოფლიო ჩემპიონები ვლადიმირელი ვლადიმერ არტიომოვი, ლენინსკკუზნეცკელი ვალენტინ მოგილნი და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ალექსანდრე პოგორელოვი. აგრეთვე, მოგილნის თანაქალაქელი ალექსი ტიხონკიხი, რავილ ადეევი (ჩერკესიდან) და იური პოგრომსკი (ბიისკი).

ვერცხლის მედლები უკრაინის ტანმოვარჯიშეებს ხვდათ — 562,20 ქულა, ბრინჯაოსი — მოსკოვის წარმომადგენლებს — 557,70 ქულა.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ფინალის წინ 23 წლის ვალენტინ მოგილნი ლიდერობს. სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის ჯამში მან 114,75 ქულა დააგროვა. თბილისელი ვლადიმერ გოგოლაძე ლიდერს მხოლოდ 0,45 ქულით ჩამორჩება. მესამე შედეგი ვლადიმერ არტიომოვს აქვს — 114,25.

მაგრამ დღის საუკეთესო შედეგი ლიდერებს კი არ უჩვენებიათ, არამედ ახალგაზრდა სიმფეროპოლელმა ტანმოვარჯიშემ იური პორპლენკომ აჩვენა. განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა მან თავისუფალი ვარჯიში, რომელშიც უმაღლესი შეფასება (9,95 ქულა) მიიღო.

გუშინ სავალდებულო პროგრამით ქალები ასპარეზობდნენ. დღეს კი აბსოლუტური ჩემპიონები გამოვლინდება როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის.

# როცა ქალები კაცური ცრემლებით ტირიან...

ქალი ცრემლებს არ იწმენდს და ისინი დროდადრო აჩქარებით, თითქოს დარცხვენითო, მოგორავენ მის სახეზე. მეუცხოება და გულს მტკენს ქალის ლამაზ სახეზე ასეთი ძნელი და მძიმე მამაკაცური ცრემლების დანახვა, მაგრამ მე უძლური ვარ დავეხმარო მას და არც ის ვიცი, ვინ შეძლებს მისი ცრემლების შემშრალებას.

ოცი წლის წინათ დაიწყო ეს ყველაფერი. მაგრამ არა, უბრალოდ, ოცი წლის წინათ ერთმა ადამიანმა გამოთქვა აზრი, რომელიც მასზე ადრე მრავალი წლის მანძილზე უტრიალებდა თავში სხვებს. პროფესორი მიხეილ გორგაძე (აწ განსვენებული) საქართველოში სპორტული დიდების მუზეუმის შექმნის ინიციატორი გახდა. მისი იდეა ყველას მოეწონა. მას მხარი დაუჭირეს. იხმაურეს. ალტაცებაც გამოხატეს. ტაშიც დაუკრეს. ერთი რამის გაკეთებაღა იყო საჭირო — ქმედითი ღონისძიებების გატარება. ამ ეტაპზე კი მუზეუმის შემქმნელთა რიგები საგრძნობლად შეთხელდა. მოკლედ, როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, ქართული სპორტის მრავალწლიანი ისტორიის პირისპირ ორი მანდილოსანიღა აღმოჩნდა — ლილი ლომსაძე და აზა მოგელაძე. მე არ მინდა დავამცირო დანარჩენი პირველი ენთუზიასტების როლი — ისინი ბევრნი იყვნენ და ბევრის გადატანაც მოუხდათ — მაგრამ ძირითადი სიმძიმე ორი მანდილოსნის სუსტ მხრებს დააწვა. მუზეუმს არ ჰქონდა შენობა, მაგრამ მათ კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე იმ პატარა ოთახშიც შეძლეს ყველაფრის წესრიგში მოყვანა, სადაც ისინი დროებით შეიკედლეს. ამჟამად არსებობს ყველა — 1097 უიშვიათესი ნეგატივის დოკუმენტაცია, ზუსტად არის დადგენილი (ზოგჯერ დოკუმენტების მიხედვით კი არა, არამედ მომსწრეთა მოგონებებით, გაზეთების ძუნწი სტრიქონებისა და უცხოეთის წყაროების მოშველიებით) ვის, როდის და სად გაუმარჯვია, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი, როგორ მოიპოვა ქართულმა სპორტმა საერთაშორისო აღიარება. მუზეუმს არ გააჩნდა ფულადი ფონდი და ის მილიონიანი ქონება (თუკი შეიძლება შეფასდეს ისტორიული ფასეულობები), რომელსაც მუზეუმი დღეს ფლობს, ამ ორი მანდილოსნის ოცი წლის შრომის ნაყოფი გახლავთ. ლილი ლომსაძემ და აზა მოგელაძემ მისხალ-მისხალ მოუყარეს თავი ქართული სპორტის უმდიდრეს ისტორიას. მათ ენდობოდნენ — სპორტსმენები, რომლებიც მათთვის ყველაზე ძვირფასს — ოქროს მედლებს, თასებს, სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს გადასცემდნენ, ხელწერილებსაც კი არ სთხოვდნენ ამ მანდილოსნებს. ისინი სხვა, უფრო ძვირფას საგანძურს გადასცემდნენ მათ — თავიანთ მოგონებებს, ბედნიერებას, ცრემლებს... ნინო დუმბაძემ მუზეუმს ის ბადრო გადასცა, რომლითაც რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ქეთევან ლოსაბერიძემ ის მშვილდ-ისარი, რომელმაც იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახადა, თბილისის დინამოელებმა — დიუსელდორფიდან ჩამოტანილი ბურთი, რომელზეც სხვათა ავტოგრაფებს შორის ვიტალი დარასელიას ავტოგრაფიც იყო...

ისინი, ჩვენგან სამუდამოდ წასული სპორტსმენები, აქ კვლავინდებურადვე ცოცხლები არიან. სერგო შალიბაშვილის დედამ მუზეუმს თავისი ვაჟის, სახელგანთქმული წყალში მხტომელის ფოტოსურათები, მედლები და სიგელები უსახსოვრა...

მე მესმის აზა მოგელაძისა — უცრემლოდ ამის შესახებ ვერ მოჰყვება.

თვრამეტი წლის განმავლობაში იყო შეფარებული ჩვენი სპორტის ისტორია გაქუცულ, უხეირო ოთახებში, სადაც ვერც სინათლე აღწევდა და ვერც ადამიანის თვალი. ბოლოს, ორი წლის წინათ, 1985 წლის 6 მარტს, საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმმა თბილისის სპორტის სასახლის შენობაში დაიდო ბინა. ეს დიდი გამარჯვება გახლდათ — ბოლოს და ბოლოს ექსპონატები დღის სინათლეს იხილავდნენ! ადრინდელთან შედარებით ეს უზარმაზარი ტერიტორია გახლდათ — 96 კვადრატული მეტრი. და შტატიც „უდიდესი“ — ფონდების მთავარი შემნახველი და უმცროსი მეცნიერ-მუშაკი (რაღა თქმა უნდა, ლილი ლომსაძე და აზა მოგელაძე) პლუს დამლაგებლის ნახევარი შტატი. და, ბუნებრივია, მაშინ, ორი წლის წინათ, ყველა ძალზე კმაყოფილი იყო. იხმაურეს, აღტაცებაც გამოხატეს, ტაშიც დაუკრეს.

და... დაიშალნენ.

და კვლავ ისტორიის პირისპირ მხოლოდ ორი მანდილოსანი დარჩა, და კვლავ ეს საშვილიშვილო საქმე მათ სუსტ მხრებს დააწვა. პარადოქსია — მუზეუმში მილიონის ქონებაა (კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს, რომ ისტორია მანეთებზე გადამყავს), მცველი, დარაჯი, უბრალოდ, მეთვალყურე დედაკაციც კი არა ჰყავთ! თითქოსდა ჩვენთან არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს ისეთი მნახველი, რომელსაც მეტისმეტად მოეწონება გფრ-იდან ჩამოტანილი ბურთი ან ესპანეთიდან ჩამოტანილი კარაველა! ბრაზილიაში, ფეხბურთის ფედერაციის შენობიდან ნიკეს თასი მოიპარეს, ჩვენთან კი ასეთი რამ შეუძლებელია! მოდის მუზეუმში ტურისტთა ჯგუფი, ერთ-ერთი მანდილოსანი ექსკურსიას უძღვება, გაფრინდაშვილის, ჩიბურდანიძის, დოლიძის, გაბაშვილის გამარჯვებებზე ესაუბრება სტუმრებს, მეორე კი ამასობაში თვალს ადევნებს, რომ... ხოლო როცა სპორტის სასახლეში ღონისძიება ტარდება და აღგზნებული, სიგარეტიანი გულშემატკივრები განუწყვეტლივ ნაკადად აწყდებიან მუზეუმს, მაშინ იმასაც უნდა ადევნონ თვალი, რომ ვინმემ უნებურად სიგარეტი, ან, ღმერთმა დაიფაროს, ჩაუქრალი ასანთის ღერი არ დააგდოს კუთხეში.

ამავე დროს მუზეუმის ორივე თანამშრომელი ქალი თავის ძირითად საქმიანობასაც ეწევა — ისინი კვლავაც აგროვებენ, ახარისხებენ და ინახავენ საქართველოს სპორტის ისტორიის მასალებს. აძლევენ ზეპირსა თუ წერილობით ცნობებს ყველას, ვინც მათ მიმართავს — სპორტულ ორგანიზაციებს, გაზეთებს, კინოსტუდიებს, სპორტის ცალკეულ მოყვარულებს. ამჟამად მუზეუმში შეგროვილია დოკუმენტაცია 846 საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, 188 მსოფლიო ჩემპიონის, 267 ევროპის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების 20 ჩემპიონისა და 54 პრიზიორის შესახებ...

ჩვენ თითქმის ორი საათია ვესაუბრებით აზა მოგელაძეს. მე ვხედავ, როგორ იბადება დროდადრო და როგორ მოგორავს მის სახეზე მძიმე ცრემლი. იგი მიყვება იმ უძვირფასეს მასალებზე, რომლებიც საკუჭნაოში ინახება იმიტომ, რომ მათ გამოსაფენად ადგილი არ არის. და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ საკუჭნაო ერთი ბეწო, ნესტიანი და ისეთი ჭერდაბალია, რომ სამად მოხრილი თუ შევა კაცი. იგი მიყვება სამკერდე ნიშნების გამოფენაზე, რომელსაც ორივენი ამზადებენ — ეს გამოფენა ექვს დიდ სტენდს დაიკავებს, და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სტენდები თვითონვე დაამზადეს, რომ გაწვალდნენ და თითებიც გაიუბედურეს. მერე კი, როცა მათ დერეფანში გამოფენენ, ორივე მანდილოსანი [illegible] — ორივემ უნდა დაიცვას უიშვიათესი ორდენები, სამკერდე ნიშნები (რომელთაგან ზოგიერთი ერთადერთიც არის).

რატომღაც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მუდმივმოქმედი სახანძრო-ტექნიკური გამოფენა მახსენდება. ბრწყინვალე, შესანიშნავი მუზეუმია! 1800 კვადრატული მეტრის ფართობზე წარმოდგენილია სახანძრო დაცვის გუშინდელი და დღევანდელი დღის ამსახველი ექსპონატები. აქ მაკეტებიც არის, თანაც როგორი! თქვენს თვალწინ იწვის სახლი, მოქმედებს უახლესი ტექნიკა. მაგრამ სპორტის დიდების მუზეუმშიც ხომ იწვევს აღტაცებას მეკოკიშვილის, პაიჭაძის, შავლაყაძის, კარტოზიას, სანეევის ხილვა...

რატომ არ გვტკივა, რატომ არ გვეწვის გული, როცა ვიცით, რომ მუზეუმს მხოლოდ სახელწოდება აქვს დიდი და ზეაწეული, შენობა და შტატი კი — პატარა და უსუსური? რატომაა, რომ გასტრონომისთვის, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებისთვის ხერხდება საკმაოზე დიდი ფართობის გამოყოფა, სულიერი საზრდოსათვის კი — არა? სპორტსმენები — რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრები, ვიდრე საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებზე გაემგზავრებოდნენ, მუზეუმში მოდიან და ფიცს დებენ, რომ ღირსეულად დაიცავენ რესპუბლიკის სახელს. ეს საზეიმო და სამახსოვრო ამბავია და მასში ცნობილი სპორტსმენები — ვეტერანები მონაწილეობენ. ისინი პოულობენ აქ მოსასვლელ დროს, მოდიან და... ვერ ეტევიან.

აუხსნელი მათემატიკაა: ჩვენს დედამიწაზე ცეცხლის ისტორიას 1800 კვადრატული მეტრი აქვს დათმობილი (ამით სხვის დამსახურებას არ ვამცირებთ, შედარებისთვის ვამბობთ), მშვიდობის ისტორიას კი (სპორტი მშვიდობის ენაა!) — 96!

აუხსნელია ეს სრული სამეურნეო დაუინტერესებლობა: არც დამთვალიერებლებს ითვლის ვინმე. შესვლა უფასოა, შემოსავალი — არავითარი. რეკლამა დუმს. მუზეუმში მხოლოდ უკანა მხრის შესასვლელით შეიძლება მოხვედრა. ისიც, ჯერ კარისკაცების მთელ წყებას უნდა ჩაუარო და აუხსნა სად მიდიხარ, რისთვის მიდიხარ... ღონისძიების დროს აქ უფრო ხშირად ისინი კი არ ხვდებიან, ვისაც სპორტი უყვარს, არამედ ისინი, ვისაც იდაყვებით მუშაობა სხვებზე მეტად ემარჯვება.

...გუშინ ინტერვიუს ასაღებად შევხვდი ერთ-ერთ სახელგანთქმულ სპორტსმენს. სიტყვა მედლებზე ჩამოვარდა. „მედლები, — სიამაყით მითხრა ყოფილმა ჩემპიონმა, — უსასყიდლოდ გადავეცი საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმს“. გონება დავძაბე და შევეცადე გამეხსენებინა, რომელ კედელზე ეკიდა ისინი, მაგრამ ვერ გავიხსენე. ეტყობა, საკუჭნაოში აწყვია სადმე...

**პეპი ბოჭორიშვილი.**

„ლელოს“ კონტროლზეა

# აღებული ტემპი არ უნდა შენელდეს

**როგორც იცით, თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზზე კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს. ერთი თვის წინათ აქაურობა დავათვალიერეთ და სამუშაოთა ტემპი დახაწუნი არ იყო. რაკი აქ მიმდინარე სამუშაოები „ლელოს“ კონტროლზეა, ისევ მოვინახულეთ აუზი. ჩვენი ვიზიტი მშენებელთა შტაბის სხდომას დაემთხვა. სხდომას ესწრებოდა ყველა იმ ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვისაც ამ რემონტის ჩატარება და მისი დაჩქარებისთვის თანადგომა ევალება.**

**ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობათა და ნაგებობათა თბილისის ნავთლუღის საკვანძო დისტანცია, რომელიც აუზის რემონტს აწარმოებს, ერთ თვეში ბევრი რამ გაუკეთებია: დაუმთავრებია საქვაბე დანადგარებისა და ფილტრების გაწყობის სამონტაჟო სამუშაოები, კაფელით მოუპირკეთებია საჭყუმპალაოსა და წყალში სახტომი აუზის კედლები, 50-მეტრიანი საცურაო აუზის სამი კედელი. ახლა კაფელს საჭყუმპალაოსა და 50-მეტრიანი აუზის ფსკერზე აგებენ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მიმდებარე ტერიტორიის, მათ შორის სკვერის კეთილმოწყობა, ამ საქმის ნახევარზე მეტი გაკეთებულია.**

**შტაბის სხდომაზე ითქვა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით კეთდება და თუ სამშენებლო მასალის მიწოდება არ შეფერხდა, სამუშაოები გრაფიკით გაგრძელდება. მაგრამ, ეტყობა, მშენებლები ზემდგომი ორგანოების ოპერატიული ჩარევის გარეშე დროზე ვერ მიიღებენ 1000 კვადრატულ მეტრ კაფელსა და 200 ტონა წებოს, რისი ფონდებიც ამოიწურა.**

**კაპიტალური რემონტი, როგორც ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს, მშენებლებმა კი სამუშაოების სექტემბერ-ოქტომბერში დამთავრება ივალდებულეს.**



უბანი და მოზარდი

# ჩემი ვერის უბანი

**ამ წერილში ავტორი თბილისური უბნის იმ მადლსა და სიკეთეზე გვესაუბრება, რომელიც სასიკეთო გავლენას ახდენდა მოზარდის ზნეობაზე.**

**● უბნის სიწმინდე ჩვენი სიწმინდეა ● რაინდობის მაგალითს უფროსები იძლეოდნენ ● კარგი ტრადიციები უნდა აღვადგინოთ**

ამ მონაყოლს ვინმემ შეიძლება ძველი ამბავი დაარქვას, მაგრამ ეს ისეთი წარსულია, ჩემი ასაკის კაცს ყველას ახსოვს.

ომი ახალი დამთავრებული იყო. გაჭირვებამ ბევრს გაუმრუდა ხელი, სული, ცხოვრება. ახლა მაინც ვამბობთ: ის დრო სხვა იყო, მაშინდელი ახალგაზრდობა სჯობდა ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობასო. თითქოს მაშინ არ გვქონოდეს პრობლემები, მაშინ არ ყოფილიყოს გზასაცდენილი კაცი. დღეს რაც რამ ცუდი ხდება, ყველაფერს ახალ თაობას ვაბრალებთ.

საკმარისია გავიხსენოთ, როგორ საშინელ სენად იყო ქცეული მაწანწალობა, ყომარბაზობა, ქურდობა...

თუმცა, გავანებოთ ამას თავი. მე მინდა ერთი ლამაზი ტრადიცია მოგაგონოთ, რომელიც ბევრ სენს მალამოდ ეცხებოდა, სატკივრის უებარი მკურნალი იყო.

დამეთანხმებით, ჩვენი დროის თბილისქალაქური უბანი და უბნის ბიჭები ბევრ რამეს ნიშნავდა, დიდი გავლენა ჰქონდა ბავშვის აღზრდასა და ახალგაზრდის ჩამოყალიბებაზე. სხვისი არ ვიცი და მე ახლაც მენატრება ჩემი ძველი ვერის უბანი. რა სიკეთით ბრწყინდებიან დაშნიანები, უკლებები, დვალები, სულხანიშვილები, რამიშვილები, რეხვიაშვილები, ნიშნიანიძეები, კალმახელიძეები, კიტიები, აზვლედიანები; ალიევი, ვარტერესიანი, გალუსტოვი, დიდენკო; ელენე დეიდა, თამარა ბიცოლა, საბედა ძალო; თოფჩიკა, რიჟა, სპინკა...

მაპატიონ ჩემმა ძველმა მეზობლებმა, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, დამიჯერეთ, არავინ დამვიწყებია. დიდი სიყვარულით ვიხსენებ თქვენს ნათქვამ ტკბილ სიტყვას, შემოთავაზებულ ლუკმას, მშობლიურ ზრუნვას, ვაჟკაცურ თანადგომას...

იმდენად დიდია ჩემი სიყვარული ძველი უბნისადმი, რომ ვერც და ვერ გადავედი ძირითად სათქმელზე, რისთვისაც ამ წერილის წერა დავიწყე.

უბანს, ეზოს, ბავშვის აღზრდაში უდიდესი როლი ეკისრება. ეს არის ბავშვისთვის უახლოესი საზოგადოება. ამიტომ მის სიჯანსაღეზე ზრუნვა ყველას ვალია. ყველას ვალია, რადგან ყველა მისი შემადგენელი ნაწილი ვართ. უბანი ბუდეა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. თუ მის საწმინდეზე არ ვიზრუნეთ, ჩვენც დავცესვრებით. ამიტომ მას კარგი პატრონი სჭირდება.

აი, ეს იყო მიზეზი ჩემი ძველი ვერისუბნის გახსენებისა. ერთი თითქოს უბრალო ჩვევა გამომყვა იქიდან: გამარჯობას ვერავინ დამასწრებს, ჯიბეში ხელჩაყოფილი ბავშვსაც არ მივესალმები. ამაში, რასაკვირველია, სატრაბახო არაფერია, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, ამ წვრილმანებისაგან შედგება ადამიანის ხასიათი... ასეთ „წვრილმანებს" ბავშვს ყოველთვის ვიღაცასწავლის, ძლიერ პიროვნებას მოზარდი ყველაფერში ბაძავს.

დამეთანხმებით, ძველ ქალაქურ უბნებში ასეთი ავტორიტეტები ყოველთვის იყვნენ. ჩემს დროს ვერაზე ცხოვრობდა შოთა სალუქვაძე, შემდგომში საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პირველი მთავარი რედაქტორი, დიდი სულისა და ერუდიციის მქონე ადამიანი. ამ ბუმბერაზ კაცს გულიც ისეთივე დიდი ჰქონდა, უბანი და ქალაქი კი არა, მთელი ქვეყანა სულში ეხატა, თვითონ ისიც ყველას უყვარდა.

ჩვენი უბნელი იყო დოდო აბაშიძე. ჩვენი საყვარელი, ჭეშმარიტად სახალხო არტისტი... ვერის უბნელია თენგიზ კეკელიძეც. კაცი, ქომაგი ყველა გაჭირვებულის; ქომაგი არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერად, ეკონომიურად. თენგიზი ავტორიტეტული კაცია ახლაც, დიდია მისი გავლენა უბნის ახალგაზრდებზე.

ამ კაცისგან ვისწავლეთ ის ღვთისნიერი ქართული სალამი, მან მოგვცა ბევრი ვაჟკაცური ჩვევა. მაშინ ვერაზე სირცხვილად, არაკაცობად ითვლებოდა დანის ხმარება, სუსტის დაჩაგვრა, უმიზეზოდ შეურაცხყოფა. ხელის მოქნევა კი, რა დასამალია, ყველას უნდა სცოდნოდა, საკუთარ სხეულს, გონებას, სულს კარგად უნდა დაუფლებოდა კაცი.

...უბნის საქალეთი საკუთარი ოჯახის წევრებად გვყავდა მიჩნეული... თქვენ წარმოიდგინეთ, სხვაც ვერ ბედავდა ჩვენს უბანში ხულიგნობას, ქურდობას, ძარცვას, უკეთურ საქციელს.

იყო შემთხვევები, გამოგიტყდებით, საკმაოდ ხშირადაც, ჩხუბი მოგვივიდოდა, ხან სხვა უბნის ბიჭებს შევეჯახებოდით, მაგრამ ბოლო ყოველთვის დროული, ვაჟკაცური შერიგება და გულწრფელი დალოცვა იყო. ღვარძლი არავის რჩებოდა გულში. ეს მორიგება უბნის უფროსი თაობის პირდაპირ მოვალეობად ითვლებოდა. ჩემი აზრით, ეს არ არის დასაძრახი. ყმაწვილკაცს უნდა ჰქონდეს საშუალება, თვითონ დადუღდეს. ბევრი გინახავთ ალბათ, თხუთმეტი-ოცი წლის ასაკში რომ ვერ მოასწრო, ვერ მოითავა ბიჭობა, ხანდაზმულობაში ცდილობს აინაზღაუროს გაცდენილი და ასაკოვანიც პატარა ბიჭად რჩება. იგი ვეღარასოდეს დავაჟკაცდება.

...უბნის კარგი ტრადიციები ბევრ რამეს ნიშნავდა. ასე იყო, ასეა ახლაც, თუ უბანში კარგი სპორტსმენი გამოვიდა, მთელი მომდევნო თაობა მას ბაძავს; თუ დიდი ხელოვანია, მასაც უჩნდება მიმდევრები, სახელოვან მეცნიერს თავისი ცვლა ეზრდება... ეს არის წრის, საზოგადოების ზეგავლენა. საუბედუროდ, ასევე ძლიერია უარყოფითი, ცუდი საქციელის გავლენაც. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ჩემი ამბავი მინდა გავიხსენო. თენგიზ კეკელიძისთვის ერთი ჩვეულებრივი უბნელი ბიჭი ვიყავი. მომიხდა შემთხვევა და გული ავიყარე ცხოვრებაზე. თენგიზმა, მისმა დიდმა ავტორიტეტმა, მაიძულა სწავლა განმეგრძო, ოჯახს მოვკიდებოდი, როცა ნახა დედის მეტი ქომაგი არავინ მყავდა, მიპატრონა, ტელევიზიაში დამაწყებინა მუშაობა.

ჩემს ცხოვრებაში ბევრ სიკეთეს ვერის უბანს — შოთა სალუქვაძეს, დოდო აბაშიძეს, თენგიზ კეკელიძეს უნდა ვუმადლოდე. თავად შოთა სალუქვაძე ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერების დოქტორი იყო, დოდო აბაშიძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტია, თენგიზ კეკელიძე თავისი საქმის კარგი მცოდნე და ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელია.

ბოლოს კიდევ მინდა გითხრათ: რა კარგი იყო თბილისქალაქის ძველი უბნები თავისი ბრძენკაცებითა და ყოჩებით, ძალოთი და ბიცოლათი; ერთმანეთის პატივისცემით, სიყვარულით, ნდობით, გატანით... არ უნდა დავკარგოთ ეს ჭეშმარიტად ქართული ჩვევა და ადათი. მაშინ დანაშაულიც ნაკლები იქნება, ვაჟკაცობას და ნამუსსაც მეტი პატივი დაედება. კაცისთვის სახელი იქნება ფართო მხარ-ბეჭი, ღონიერი მკლავი, ძლიერი ქედი, გახსნილი გონება, მწიგნობრობა, შრომისმოყვარეობა. უფრო მეტად დაფასდება ქალის პატიოსნება, მოკრძალება, თავმდაბლობა, კარგი ოჯახის დედობა თუ შვილობა, გვეყოლება ჯანმრთელი ახალგაზრდობა.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთიც მინდა ვთქვა. როგორ უყვარდა ასეთი ახალგაზრდები სულგანათლებულ აკადემიკოსს, მაშინ უნივერსიტეტის რექტორს, ნიკო კეცხოველს, რამდენ ნიჭიერ კაცს უპატრონა, რამდენი დააყენა დიდი მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის ნათელ გზაზე.

**კიმი ალიაშვილი.**

# ზედმეტი თვითდაჯერების შედეგი

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 18 აპრილი.**

**სსრ კავშირი (ნაკრები) — შვეცია (ნაკრები) 1:3 (0:0).**

**სსრ კავშირი: დასაევი, პოზდნიაკოვი, ჩივაძე (ბროშინი, 70 წ.), კუზნეცოვი, დემიანენკო, როდიონოვი, გოცმანოვი (რაცი, 46), იაკოვენკო (ხიდიატულინი, 69), ალეინიკოვი, პროტასოვი (ტატარჩუკი, 46), ბელანოვი.**

**შვეცია: ფ. რაველი, ანდერსონი, ლენი, ა. რაველი, პერსონი, ერიქსონი (პალმერი, 72), სტრემბერგი, პრიტცი, ლიმპარი, ექსტრემი, მაგნუსონი (ლარსონი, 88).**

**მსაჯი ტ. დიაკონოვიჩი (პოლონეთი).**

**გააფრთხილეს სტრემბერგი.**

სულ მალე, 29 აპრილს, სსრ კავშირის ნაკრებს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მეტად დაძაბული მატჩი აქვს ჩასატარებელი კიევში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან. ორივე ეს გუნდი ამჟამად შესარჩევ ჯგუფში ლიდერობს, მათი შეხვედრა ერთმანეთთან, შეიძლება, გადამწყვეტი გამოდგეს, ამდენად, ჩვენი ფეხბურთელების მატჩი შვედებთან გენერალური რეპეტიციის რანგისა იყო.

საბჭოთა ნაკრები გუშინდელ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა, კერძოდ, მას აკლდა რამდენიმე კიეველი ფეხბურთელი, კიევის „დინამოს" კი 22 აპრილს ევროპის ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი აქვს შინ ჩასატარებელი. შეიძლება, ამის გამო, ამ მოთამაშეებს დასვენების საშუალება მისცეს.

მაგრამ სწორედ ამ პერიოდში, როგორც კიევის „დინამოს", ისე სსრ კავშირის ნაკრების ყველა ძირითადი ფეხბურთელი სრულ საბრძოლო ფორმაში უნდა იმყოფებოდეს, ამიტომაც, ჩვენი აზრით, შვეციის ნაკრებთან გუშინდელ მეტად პრესტიჟულ მატჩში მათი მონაწილეობა აუცილებელი იყო.

მთელი პირველი ტაიმი საბჭოთა ნაკრების საგრძნობი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ არ იგრძნობოდა გუნდის საბრძოლო განწყობა, ტერიტორიული უპირატესობის რეალიზაციისადმი მისწრაფება. მასპინძლები თამაშობდნენ ისე, თითქოს მინდვრის შუაგულში მოპოვებული უპირატესობა თავისთავად საკმარისი იყო გამარჯვებისთვის, ისინი ბევრ დროს კარგავდნენ მინდვრის შუაგულში, უშფოთველად აგორებდნენ ბურთს ერთმანეთს შორის და ტაიმმა ისე განვლო, შვეციის ნაკრების კართან არსებითად არც ერთი რამდენადმე მაინც რეალური სახიფათო მომენტი არ შექმნილა. ამ დროს კი შვედებმა ორჯერ ისეთ პოზიციაში გაიყვანეს თავიანთი თავდამსხმელები, საიდანაც იოლად შეიძლებოდა გოლის გატანა. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ერთადერთი როდიონოვი გახლდათ, რომელიც მართლაც საბრძოლველად იყო განწყობილი.

დაიწყო მეორე ტაიმი და შვედებმა პირველი წუთებიდან მკვეთრად მოუმატეს ტემპს, ისინი ზუსტი, გაანგარიშებული კომბინაციებით გადიოდნენ მეტოქე მცველთა შორის, ერთ-ერთი ასეთი შეტევა 63-ე წუთზე ზუსტი, ძლიერი დარტყმით დაამთავრა ლიმპარმა — 1:0.

ჩვენი ფეხბურთელები კვლავ ადრინდელი მანერით თამაშობდნენ, შვეციის ფეხბურთელებმა კი 66-ე წუთზე ანალოგიური მოულოდნელი კონტრშეტევა განახორციელეს, მასპინძელთა მცველები კარის წინ სწორად არ განლაგდნენ და მაგნუსონს საშუალება მიეცა ახლო მანძილიდან მეორედ აელო დასაევის კარი — 2:0.

68-ე წუთზე ბელანოვმა საკმაოდ შორი მანძილიდან ბურთი თავს ზემოთ გადაუგდო მეკარე რაველს და ერთი საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ექსტრემმა და მაგნუსონმა ორსვლიანი გადაცემა გაითამაშეს, რომელიც მესამე გოლით დაამთავრა მაგნუსონმა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ნაკრები სულ სხვაგვარად ითამაშებს შესარჩევ მატჩში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანოს შვედებთან ჩატარებული გუშინდელი შეხვედრიდან.

# დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი

**ბრიუსელის** მოჭადრაკე ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ლიდერობა ხელთ იგდო მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. VII ტურის დაწყებამდე მას თამაშის განუახლებლად დანებდა ნაიჯელ შორტი. როგორც იცით, ისინი ერთმანეთს IV ტურში შეხვდნენ. იმავე დღეს, საღამოს, კასპაროვი დაუზავდა ვიქტორ კორჩნოის. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: იან ტიმანი — ლიუბომირ ლიუბოევიჩი — 0,5:0,5, ეუგენიო ტორე — ანატოლი კარპოვი — 0,5:0,5, შორტი — მიხეილ ტალი — 0,5:0,5, ჯონ ვან დერ ვილი — ბენტ ლარსენი — 0,5:0,5, ლუი ვინანტსი — რიშარ მიულდერსი — 1:0. კარპოვი და ვან დერ ვილი თამაშის განუახლებლად დაზავდნენ IV ტურის გადადებულ პარტიაში.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ კასპაროვს 5,5 ქულა აქვს, კორჩნოის — 5, ტიმანს, ლარსენსა და ლიუბოევიჩს — 4,5-4,5. იუგოსლაველ მოჭადრაკეს ერთი გადადებული პარტია აქვს. 6 შეხვედრიდან 4-4 ქულა მოაგროვეს კარპოვმა და ტალმა.

## ტელეტაიპი - მკითხველს

● **აგეო** (იაპონია). ძალოსანთა აზიის ჩემპიონატში ჩინელმა ხე ჩჟოციანმა (52 კგ) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ატაცში მან 116,5 კგ აჩვენა. ძველი რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, 0,5 კილოგრამით გაუმჯობესდა.

● **სან-პაულუ.** დაიწყო იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 31 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. შეჯიბრებაში პირველად რაპირისტები ჩაებნენ. სამივე საბჭოთა სპორტსმენმა — პავლე სოლოვიოვმა, დიმიტრი შევჩენკომ და ანდრეი პავლოვმა რვა ფინალისტს შორის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ფინალში იასპარეზებს, აგრეთვე, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ტ. ვაიდნერი (გფრ).

● **ნიცა.** მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი წარმატებით ასპარეზობს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში („გრან პრი"). არგენტინის უძლიერეს ჩოგბურთელთან მარტინ ჰაიტთან გამარჯვების შემდეგ (7:6, 6:2) იგი ნახევარფინალში გავიდა.

# ახალგაზრდული ნაკრების პრობლემები

**როგორც** ვიტყობინებოდით, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა 17 აპრილს რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა შვეციის თანატოლთა გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი გოლი მე-15 წუთზე გაიტანა კორნეევმა.

თამაში საკმაოდ დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, მეტოქეები ბევრს მოძრაობდნენ, ბევრს ცდილობდნენ, სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ ცხადად იგრძნობოდა შეუთანხმებლობა არა მარტო ცალკეულ ფეხბურთელებს, არამედ რგოლებს შორისაც. მთელ რიგ შემთხვევებში კომბინაციები შუა მინდორშივე იშლებოდა, მოთამაშეთა შორის, რომელთა დიდი ნაწილი უმაღლესი ლიგის გუნდებში გამოდის, არ გამოჩნდა ლიდერი, რომელიც თავის თავზე შეძლებდა ორგანიზატორის ფუნქციების აღებას. ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს წლეულს ევროპის ჩემპიონატის მეტად საპასუხისმგებლო შესარჩევი მატჩები მოელის, მას ჯერ კიდევ ბევრი აკლია კოლექტიური შეთამაშებისა და ფეხბურთელთა შორის საერთო ენის გამოსამუშავებლად.

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა მატჩი: მანანიკოვი, შმატოვალენკო, გორილი, ჭედია, კოლოტოვკინი, კუზნეცოვი, მუშტრუევი (რევიშვილი, 46), ივანაუსკასი (ჩუგუნოვი, 73), კოლივანოვი (დანილოვი, 64), პონომარიოვი, კორნეევი. გააფრთხილეს კუზნეცოვი.

**„სპორტპროგნოზი": მე-17 ტირაჟის შედეგები (25-26 აპრილი)**

| წყვილები | | პროგნოზები | | |
|---|---|---|---|---|
| **ფეხბურთის ფედერაციის თასი** | | | | |
| 1. ცსკა — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 25.4. | 40 | 30 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 2. „როსტსელმაში" (როსტოვი) — „დაუგავა" (რიგა) | 26.4. | 20 | 40 | 40 |
| 3. „დინამო" (სტავროპოლი) — „შინიკი" (იაროსლავლი) | 26.4. | 40 | 50 | 10 |
| 4. „კოტაიკი" (აბოვიანი) — „პამირი" (დუშანბე) | 26.4. | 40 | 30 | 30 |
| 5. „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ფახთაკორი" (ტაშკენტი) | 26.4. | 40 | 40 | 20 |
| 6. „ტორპედო" (ქუთაისი) — „კუზბასი" (კემეროვო) | 26.4. | 80 | 10 | 10 |
| 7. „დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 26.4. | 50 | 40 | 10 |
| 8. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „გეოლოგი" (ტიუმენი) | 26.4. | 50 | 30 | 20 |
| 9. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 26.4. | 60 | 20 | 20 |
| 10. „კოლოსი" (ნიკოპოლი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) | 26.4. | 40 | 40 | 20 |
| 11. „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 26.4. | 30 | 20 | 50 |
| **მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში** | | | | |
| 12. კანადა — ფინეთი | 26.4. | 50 | 20 | 30 |
| 13. სსრ კავშირი — შვეცია | 26.4. | 80 | 10 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს მოსწავლეთა XXXV სპარტაკიადა

# სერიოზული მეტოქეობის გარეშე

**ცნობისათვის: ბათუმი, საქართველოს XXXV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წყალბურთში. ასაკი — 1971-72 წლებში დაბადებული ჭაბუკები. მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის და რუსთავის გუნდები, უკონკურსოდ გამოდიოდა თბილისის მეორე ნაკრები. სპორტსკოლების მოსწავლეთა წლევანდელ საკავშირო თამაშებში 1971-72 წლებში დაბადებული სპორტსმენები დაიშვებიან, ამდენად ეს შეჯიბრება მომავალი დიდი ფორუმისათვის სამზადისის ერთ-ერთ ეტაპს შეადგენდა.**

ალბათ დაგვეთანხმებით, როცა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ერთი გუნდი ყველა დანარჩენს ამარცხებს, თანაც ამარცხებს პირწმინდად, მაშინ კონკურენციაზე ლაპარაკი ზედმეტია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას თბილისელებმა აჯობეს. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს და 8 ქულა დააგროვეს (აქ, რა თქმა უნდა, ნაგულისხმები არ არის უკონკურსოდ მონაწილე გუნდთან გამარჯვება). მეორე იყო ქუთაისის გუნდი (6 ქულა), ხოლო მესამე — აჭარის ნაკრები (5). რუსთაველებმა 4 ქულა მოაგროვეს, აფხაზეთის წარმომადგენლებმა კი — ვერც ერთი.

ასპარეზობამ ნათლად გვიჩვენა, წყალბურთის განვითარებისათვის სად როგორ ზრუნავენ. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ აჭარის ნაკრების კარგ თამაშს შარშანდელთან შედარებით და რუსთაველთა მიერ პოზიციების ერთგვარ დათმობას.

— რუსთავის ნაკრები ამჯერად სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა, — გვეუბნება საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი წყალბურთში ვლადიმერ ბარნაბიშვილი. — გუნდის წევრები ერთმანეთთან, როგორც იტყვიან, შეთამაშებულები არ იყვნენ. მათი ლიდერებიც შედარებით სუსტად თამაშობდნენ. რაც შეეხება საერთო შთაბეჭდილებას, უნდა ითქვას, რომ წყალბურთელთა დიდ უმრავლესობას ეგრეთ წოდებულ „სკოლაში" დასტატება აკლია. ისინი ტექნიკური წუნის გამოსწორებას უხეშობით ცდილობდნენ და მეტოქეთა მოთამაშეებს მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ. ამიტომ მსაჯებს ხშირად უხდებოდათ მონაწილეთა გაძევება.

ახლა ვნახოთ, როგორ ზრუნავენ წყალბურთელთა აღსაზრდელად სპორტსაზოგადოებები და უწყებები. ეს გამარჯვებული გუნდის შემადგენლობის გაცნობითაც ნათელია: თბილისელთა რიგებში იყო განათლების სამმართველოს რვა და „ნორჩი დინამოელის" ექვსი წარმომადგენელი.

რაკი სიტყვა გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაზე ჩამოვარდა, ჩემპიონებსაც აქვე გაგაცნობთ, ესენი არიან: კახა ხაბაზიშვილი, გიორგი გზირიშვილი, გიორგი გონაძე, გიორგი ბეჟანიშვილი, გიორგი მახარაძე, ირაკლი ტატიშვილი, დავით ბურდული, ვლადიმერ ჩიტინაშვილი, ზვიად დავითიანი, გია გრიგოლია, სერგო გოგიჩევი, კახა დოლიძე, აკაკი სურგულაძე და ბაკურ ცხომელიძე. გუნდს ავარჯიშებენ გივი ხუროშვილი და მეორე მწვრთნელი ჯემალ კინწურაშვილი.

ხუროშვილი გახლავთ საქართველოს მოსწავლეთა იმ ნაკრების მწვრთნელიც, რომელიც სპორტსკოლების საკავშირო სპორტულ თამაშებში ჩაებმება.

— ჩვენი გუნდი, როგორც მასპინძელი, სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო სპორტულ თამაშებზე დამოუკიდებლად გამოვა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების სახელით იასპარეზებს, — ამბობს გივი ხუროშვილი, — ასეთი პატივი წილად ხვდათ უკრაინელებსაც. მოსწავლეთა მომავალ დიდ ფორუმზე წინასწარ შეხვედრებში ჩვენი მეტოქეები იქნებიან „დინამოს" ცენტრალური საბჭოს, პროფკავშირების, „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს და სამხრეთ ზონის ნაკრები გუნდები. სამხრეთ ზონის ნაკრებში ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ბელორუსიისა და მოლდავეთის საუკეთესო წყალბურთელები გაერთიანდებიან. რა თქმა უნდა, ასეთ გუნდებთან ბრძოლა ძალზე ძნელი იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ფინალამდე მივაღწევთ.

საქართველოს ნაკრებში, გარდა გამარჯვებული გუნდის წყალბურთელებისა, მიწვეული არიან ქუთაისელები ოთარ პატარიძე, ავთანდილ დარახველიძე, ბადრი რობაქიძე, მამუკა ტყაბლაძე, ოთარ ჰიჰინაძე და რუსთაველი გარიკ პოსოხოვი. საბოლოოდ მათგან გუნდში ცამეტი წყალბურთელი დარჩება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ **საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს უკანასკნელი შეკრება რატომღაც ჩაეშალა.** თუ ასე გაგრძელდა, გუნდს დასახული მიზნის მიღწევა, რა თქმა უნდა, ძალიან გაუჭირდება.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ავტორის ფოტო



თბილისის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გივი ხუროშვილი ნორჩ წყალბურთელებთან.

# ფრანგი ბრაზილიელი აფრიკიდან

იგი მეორედ ჩამოვიდა თბილისში. თბილისელებმა მისი თამაში პირველად 1985 წლის 27 ნოემბერს ნახეს, როცა უეფა-ს თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა" აქ საფრანგეთის „ნანტს" უმასპინძლა. ათლეტური აღნაგობის შავკანიანმა ფეხბურთელმა, რომელიც სტუმართა შემადგენლობაში მეათე ნომრით გამოდიოდა, მაღალტექნიკური, ენერგიული, რაც მთავარია, გუნდისთვის სასარგებლო თამაშით მიიქცია ჩვენი ყურადღება და ყველას დაგვამახსოვრა თავისი სახელი — ჟოზე ტურე.

1986 წლის ზაფხულში ტურე ნანტიდან ბორდოში გადავიდა და ამჯერად ამ ქალაქის გუნდთან ერთად ჩამოვიდა თბილისში მოსკოვის „ტორპედოსთან" სათამაშოდ. მან ამჯერადაც გამოიჩინა თავი — ორი გოლი გაიტანა. ჩვენ ხელიდან არ გავუშვით შესაფერისი მომენტი და ფეხბურთელს ჩამოვართვით აი, ეს ინტერვიუ.

**— თუ შეიძლება გაგვაცანით თქვენი ბიოგრაფიული მონაცემები.**

— დავიბადე 1961 წლის 24 აპრილს ნანსიში. მამაჩემი წარმოშობით აფრიკელია, დედა კი — იტალიელი. თამაში დავიწყე ბლუის გუნდში. 1977 წლიდან „ნანტში" გამოვდიოდი. პირველი პროფესიული კონტრაქტი ამ კლუბთან თვრამეტი წლისამ გავაფორმე. ორჯერ ვიყავი საფრანგეთის ჩემპიონი, შარშან კი ბორდოში გადავედი.

**— რამ განაპირობა თქვენი გადასვლა ნანტიდან ბორდოში?**

— უპირველეს ყოვლისა იმან, რომ ამჟამად ბორდოს გუნდი უფრო ძლიერია და როგორც „საშინაო" შეჯიბრებებში, ისე ევროპის ტურნირებში საკმაოდ მაღალ ამოცანებს ისახავს.

**— როგორც ვიცით, ტრავმის გამო ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვეთ. როგორ იმოქმედა ამ ფაქტმა თქვენზე?**

— მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მუხლის ოპერაცია გავიკეთე და მექსიკაში სწორედ ამიტომ ვერ გავემგზავრე. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში თამაში ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან სასურველი და საპატიოა, მაგრამ, რას იზამ, ცხოვრებაში ხანდახან გაწბილებაც გვხვდება.

**— რას იტყვით XIII მსოფლიო ჩემპიონატში საფრანგეთის ნაკრების გამოსვლაზე?**





— ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ჩვენმა ნაკრებმა ვერ ითამაშა ისე, როგორც შეეძლო, ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შემადგენლობის ერთგვარი განახლების პროცესი იყო.

**— მას შემდეგ, რაც მექსიკაში საფრანგეთის ნაკრები ნახევარფინალში დასავლეთ გერმანიის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, ჟურნალისტებმა გაიხსენეს 1982 წელს მომხდარი ანალოგიური შემთხვევა და იმაზეც კი დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს ფრანგებს „დასავლეთგერმანელების კომპლექსი" გაუჩნდათ...**

— არა, რა თქმა უნდა, არა! არავითარი კომპლექსი! ფრანგებს არასოდეს გვქონია რაიმე კომპლექსი დასავლეთგერმანელთა მიმართ. უბრალოდ, ჩვენი ნაკრები დამარცხდა ძლიერ მეტოქესთან... დარწმუნებული ვარ, შორს არ არის დღე, როცა ჩვენ დავამარცხებთ დასავლეთგერმანელებს.

**— მაგრამ ამის მისაღწევად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამხანაგურ შეხვედრებს, საფრანგეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასვლა სჭირდება. რამდენად რეალურია ეს?**

— გეთანხმებით, შესარჩევ ტურნირში წარუმატებლად ავიღეთ სტარტი. ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით გაართულა საბჭოთა ნაკრებთან მატჩის წაგებამ. დღეს მესამე ჯგუფში თქვენი გუნდი უდავო ფავორიტია, მაგრამ ტურნირის შეხვედრათა ნახევარზე მეტი ჯერ ხომ წინ არის...

**— ახლა საფრანგეთის კლუბებში ბევრი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს. რა გავლენას ახდენენ ისინი ფრანგულ ფეხბურთზე?**

— უცხოელებს ჩვენი ფეხბურთისთვის მხოლოდ სარგებლობა მოაქვთ! თითოეულ მათგანს შემოაქვს რაღაც თავისი, თუნდაც განსხვავებული მანერა, რითაც ამდიდრებს თავისი კლუბის თამაშს. ეს კი ძალიან სასარგებლოა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ცოდნასა და გამოცდილებას იმდიდრებენ.

**— მართალია, რომ თქვენ საფრანგეთში „ბრაზილიანოს" ანუ ბრაზილიელს გეძახიან?**

— დიახ..

**— რით აიხსნება ეს?**

— ალბათ ჩემი თამაშის სტილით და კანის ფერითაც.

**— თქვენ როგორ სტილს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ისეთს, როგორითაც თამაშობს „ბორდო".

**— წინა სეზონში თქვენ „ნანტის" შემადგენლობაში გამოდიოდით და ეს კლუბი თბილისში ვიხილეთ; ახალ სეზონში სხვაგან გადახვედით და ახლა ბორდოელები გვეწვივნენ. უახლოეს მომავალში ხომ არ აპირებთ სადმე გადასვლას? თუ ამას გვეტყვით, ის მაინც გვეცოდინება, რომელ კლუბს უნდა ველოდეთ ჩვენს ქალაქში.**

— მე ძალიან მომწონს თბილისი, ეს ლამაზი ქალაქი და მისი გულთბილი მკვიდრნი. ასე რომ, კიდევ ერთხელ სიამოვნებით ჩამოვიდოდი აქ. მაგრამ რომელ კლუბს „ჩამოგიყვანთ", ჯერ ვერ გეტყვით. უბრალოდ, „ბორდოსთან" კონტრაქტი ორი წლის შემდეგ მიმთავრდება და შეიძლება უცხოეთის რომელიმე კლუბში გადავიდე.

**— მაინც, რომელ ქვეყანაში?**

— სიამოვნებით ვითამაშებდი ინგლისში.

**— გისურვებთ წარმატებას და გეტყვით, რომ თბილისელი მაყურებელი ინგლისური კლუბის შემადგენლობაშიც ისევე თბილად მიგიღებდათ, როგორც პირველი ორი ვიზიტის დროს.**

**ზურაბ ფოცხვერია,**
**ვახტანგ ბებელია.**

### ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 19 აპრილი.** დილის დაჰურვა — **8.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1);** სპორტლოტოს ტირაჟი — **10.15 (1);** ცხენოსნობა: სსრ კავშირის თასი — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.55 (1);** ხელბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ვაჟთა შორის: ასკ (მინსკი) — „ტუსემი" (გფრ) — **24.00 (2).**

**20 აპრილი.** დილის დაჰურვა — **8.00 (1);** დილის . ტანვარჯიში — **9.00 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05 (1);** საკალათბურთო მიმოხილვა — **18.15 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: სსრ კავშირი — აშშ — **19.00 (2);** შვეცია — ჩეხოსლოვაკია — **22.40 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 19 აპრილი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.55.**

**20 აპრილი.** სპორტული გადაცემა — **17.50.**

### I ლიგა

17 და 18 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-4 ტურის მატჩები.

ჩვენმა ორივე გუნდმა მარცხი განიცადა: ბათუმის „დინამომ" კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან" — 0:3 და ქუთაისის „ტორპედომ" ტიუმენში „გეოლოგთან" — 0:3.

### კალეიდოსკოპი

#### შესარჩევია კანდიდატები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის ვიცე-პრეზიდენტის თომას კელერის განცხადებით, მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ამ ქვეყნის 505 სპორტსმენი ემზადება. ოლიმპიადაში ყველა მონაწილეობას, რა თქმა უნდა, ვერ მიიღებს. კანდიდატები საბოლოოდ სპეციალური ტურნირების სერიაში შეირჩევა. სახეობების მიხედვით გუნდები მხოლოდ ამის შემდეგ დაკომპლექტდება.

#### ბოლო ოცნება

მისი სპეციალობა სწრაფდაშვებაა. სამთო-სათხილამურო სპორტის სხვა სახეობებში გამართულ შეჯიბრებებში შვეიცარიელი პეტერ მიულერი იშვიათად გამოდის. 30 წლის ათლეტი (სიმაღლე 184 სმ, წონა 84 კგ), რომელსაც 100-ზე მეტი საერთაშორისო ტურნირი აქვს მოგებული, წლეულს კრანს-მონტანში (შვეიცარია) მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ასეთ აღიარებამდე მას ძნელი გზის გავლა მოუხდა: 1978 და 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატებში მეხუთე იყო, სარაევოს ოლიმპიურ თამაშებში II ადგილი დაიკავა, მერე ეს შედეგი 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც გაიმეორა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწია სანუკვარ მიზანს — მსოფლიო ჩემპიონის დიდი ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ახლა სპორტსმენს ერთი ოცნებაღა დარჩა შესასრულებელი: 1988 წელს მონაწილეობა მიიღოს კალგარის ოლიმპიურ თამაშებში და იქაც კრანს-მონტანის წარმატება გაიმეოროს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 05314